



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

## ახალდაბის განძი

ახალდაბის განძი, 1. XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1968 დაბა ახალდაბაში (ბორჯომის რ-ნი). მონეტების ძირითადი ნაწილი (186 ც.) მოქრილია თბილისში მანგუ-ყაენის სახელით, ხოლო დანარჩენი რუმის სელჩუკებს, დავით VII ულუს, მანუელ I კომნენოსსა და თავრიზში მოქრილ ანონიმურ სერიას მიეკუთვნება. ქრონოლ. დიაპაზონია 1220 – 63, ჩამარხულია არა უგვიანეს 1270.

ლიტ.: Д ж а л а г а н и я И. А., Иноземная монета в денежном обращении Грузии V – XIII вв., Тб., 1979.

### გ. დუბდუა

2. XVI ს. დასაწყ. ოსმალური ვერცხლის მონეტები (4 ც. ახჩა), ნაპოვნი 1952, ტაშისკარის არხის მშენებლობის დროს დაბა ახალდაბის (ბორჯომის რ-ნი) მახლობლად. მონეტები დათარიღებულია ჰიჯრით 918 (1512) და მოქრილია ოსმ. სულთნის სელიმ I-ის (1512 – 20) სახელით. ეს ახჩები საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ოსმ. მონეტებია. ა. გ. დაცულია აკად. ს. ჭანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლოტ.: ა ნ თ ა ძ ე მ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII  
საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, თბ., 1982.

*გ. ანთაძე*

---